საქართველოს მთავრობის

დადგენილება №14

2022 წლის 17 იანვარი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^3 მუხლის პირველი პუნქტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „იზოლაციისა და კარანტინის წესები“.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-11 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კორონავირუსის შემთხვევასთან კონტაქტირებული ფიზიკური პირი, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებითა და ამ მუხლის 4^1 და 4^5 პუნქტებით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა:

ა) არ ექვემდებარება იზოლაციას, ამასთან, ეძლევა ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია მაღალი რისკის კონტაქტის შეწყვეტიდან მომდევნო 10 კალენდარული დღის განმავლობაში (მ. შ. დაბალი რისკის გარემოში მოხვედრისას):

ა.ა) ბუსტერდოზით ვაქცინაციის შემთხვევაში;

ა.ბ) პირველადი ვაქცინაციის მე-2 დოზის მიღებიდან 14 – 90 დღის განმავლობაში;

ა.გ) კოვიდის ინფექციის გადატანიდან 60 დღის განმავლობაში;

ბ) ექვემდებარება იზოლაციას მკაცრად 8 დღის განმავლობაში, ამასთან, ეძლევა ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია მომდევნო 9 – 12 კალენდარული დღის განმავლობაში:

ბ.ა) არავაქცინირებული პირების შემთხვევაში;

ბ.ბ) არასრულად ვაქცინაციის შემთხვევაში;

ბ.გ) პირველადი ვაქცინაციის მე-2 დოზის მიღებიდან 1 – 14 დღის განმავლობაში;

ბ.დ) პირველადი ვაქცინაციის მე-2 დოზის მიღებიდან 90 დღეზე მეტი ხანგრძლივობისა და ბუსტერდოზის არმქონე პირების შემთხვევაში;

ბ.ე) კოვიდის ინფექციის გადატანიდან 60 დღის შემდგომ პერიოდში.";

ბ) 4^1 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 17 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**